# სტუდენტური კონკურსი კრეათონი

# “ფიროსმანი ციფრულ სივრცეში”



კულტურა და შემოქმედებითი სფერო სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს ქვეყნების განვითარების სხვადასხვა სექტორსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები განსაკუთრებულად მიიჩნევენ კულტურისა და შემოქმედებით სფეროს შესაძლებლობებს ინვესტიციების მოზიდვის, სამეწარმეო იდეების გაჩენის, სამუშაო ადგილების შექმნის მხრივ.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია კულტურისა და შემოქმედებითი სფეროს დადებით ზეგავლენა თითოეულ ადამიანსა და ზოგადად საზოგადოებაზე : ცოდნის, განათლების, კულტურული მრავალფეროვნების, ტოლერანტობის, ნდობისა და დიალოგის, ჯანმრთელობაზე დადებითი ზემოქმედების მხრივ.

ნიკო ფიროსმანის შემოქმედება ქართული კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებული ნაწილია, რომლის უდიდესი პოტენციალი ეფექტურად შეიძლება იქნას ინტეგრირებული ქვეყნის განვითარების სხვადასხვა სექტორში.

მით უფრო დღეს, საყოველთაო აღიარებისა და მზარდი საერთაშორისო პოპულარობის ფონზე: ნიკო ფიროსმანის შემოქმედება დიდი წარმატებით მოგზაურობს და კუთვნილ ადგილს იმკვიდრებს მსოფლიოს საგამოფენო სივრცეებში, ყველაზე გამოჩენილ ხელოვანთა კოლექციების გვერდით.

ამ მიზნით გავერთიანდით კულტურის, საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, საკომუნიკაციო სფეროს პროფესიონალები და ვახორციელებთ თანამედროვე სტანდარტების, მასშტაბურ, ინოვაციურ კულტურულ პროექტს.

## შემოგვიერთდით თქვენც!









# პროექტის კონცეფცია



პროექტი გულისხმობს სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას ფიროსმანის ბიოგრაფიასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ ლოკაციებზე ქვეყნის მასშტაბით.

პროექტის განვითარების გეგმის საბოლოოდ მისაღწევი მიზანია სხვადასხვა ღონისძიებებითა და აქტივობებით დატვირთული კულტურული ტურისტული მარშრუტის შექმნა, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით: ვებ-გვერდი, სოც-ქსელები, მობილური აპლიკაცია, შექმნის ტრადიციებს, მოიპოვებს მუდმივ აუდიტორიას და ექნება განვითარებისა და განახლების ხანგრძლივი რესურსი.



# პროექტის ლოკაციები 2019 წელს



# თბილისი – კრეათონი



სტუდენტური შემეცნებითი,
შემოქმედებითი კონკურსი

**30 აპრილი – 5 მაისი 2019**

# სიღნაღი – ფესტივალი ღია ცის ქვეშ



**21-22 სექტემბერი 2019**

# კონკურსის
# ალტერა



# კრეათონი

## პერიოდი

კრეათონი ჩატარდება 2019 წლის 3-5 მაისს. ხანგრძლივობა 48 საათი

## ლოკაციები

ტექნოპარკი, ჯეოლაბი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

დასკვნითი ღონისძიება - 5 მაისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი

## მონაწილეები

საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების სტუდენტები

## დავალებები

ნიკო ფიროსმანის შემოქმედების თემაზე სხვადასხვა სახის გრაფიკული დიზაინის შემუშავება, სხვადასხვა სახის ციფრული პროდუქტების შესაქმნელად იდეების ინიცირება და პროტოტიპების შექმნა

## შედეგები

გამარჯვებული ნამუშევრების მიხედვით შეიქმნება სიღნაღის ფესტივალის ბრენდინგი, გამოვლინდებიან შემოქმედებითი, ინოვაციების ნიჭითა და გრაფიკულ დიზაინსა და ციფრული ტექნოლოგიების სფეროში გამორჩეული ცოდნის მქონე ახალგაზრდა სპეციალისტები, მოხდება ახალი იდეების გენერირება, შეიქმნება კულტურულ მემკვიდრეობაზე წვდომის ორიგინალური გარემო, მოვიზიდავთ ახალ აუდიტორიას

## მთავარი პრიზი

გამარჯვებული გუნდი ჩართული იქნება პროექტის მომდევნო ეტაპების განხორციელებაში

# კრეათორის აქტივობები



- პრეს კონფერენცია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში/ეროვნული გალერეა
- მონაწილეთა ელექტრონული რეგისტრაცია
- ფინალური ტურის მონაწილეთა გადარჩევა
- კურატორების ტურები მუზეუმში,
- ლექციების კურსი მონაწილეებისათვის:
    - კულტურული მემკვიდრეობა და ციფრული კომუნიკაციის შესაძლებლობები
    - კულტურისა და შემოქმედებითი სფეროს თანამედროვე ხედვა, გამოწვევები, ტენდენციები
- 48 საათიანი კრეათონი ტექნოპარკში
- დასკვნით ღონისძიება და კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენა ეროვნულ მუზეუმში



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM

სიღნაღი

საქართველოს ინოვაციების
და ტექნოლოგიების სააგენტო

LEAVINGSTONE

ჭკოლაბი

ARI
უნივერსი



# რატომ უნდა მიიღოთ მონაწილეობა კონკურსში?

- იმაღლებთ ცოდნას ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მხრივ
- მონაწილეობთ თანამედროვე, ინოვაციური კულტურული მოვლენის შექმნაში
- თანამშრომლობთ კულტურის, ხელოვნების, შემოქმედებითი, ციფრული ტექნოლოგიების, კომუნიკაციის სფეროს თანამედროვე პროფესიონალებთან
- გამოცდით საკუთარ შესაძლებლობებს, გუნდური მუშაობის, კონკურენტულ გარემოში მოქმედების პირობებში
- აიმაღლებთ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს
- საშუალება გექნებათ შეუერთდეთ მასშტაბურ, ინოვაციურ პროექტზე მომუშავე გუნდს
- იმუშავებთ მსოფლიო მნიშვნელობის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის თემაზე, რომლის მხატვრული დონე და ესთეტიკა განსაკუთრებულ მიდგომასა და გააზრებას მოითხოვს – ეს უნიკალური გამოცდილებაა, რომელიც თქვენს პროფესიულ სრულყოფას განსაკუთრებულ სიღრმეს შესძენს



# მადლობა!

პროექტის ავტორი: მაია ჯამბაზიშვილი
კონტაქტი: ტელ.: 571 755 855
ელ.ფოსტა.: myartunivers@gmail.com

თემატური ვიზუალი: ლუკა გელაშვილი /ჯეოლაბი/